



საქართველოს პარლამენტის  
კულტურის კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო  
გეგმა

2024 წელი

## ზოგადი ინფორმაცია კულტურის კომიტეტის სამოქმედო გეგმის შესახებ

კულტურის კომიტეტის სამოქმედო გეგმა ეფუძნება მისი ფუნქციონირების შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და კანონშემოქმედება;
- საზედამხედველო საქმიანობა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობა და კომუნიკაცია;
- კომიტეტის ორგანიზაციული განვითარება.

**სტრატეგიული მიზანი 1: მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და საკანონმდებლო საქმიანობის კოორდინირება**

**ამოცანა 1.1. სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე, კომიტეტის მიერ კულტურის სხვადასხვა სფეროში სიღრმისეული კვლევების წარმოება და კვლევის შედეგების მიხედვით მტკიცებულებებზე დაფუძნებული სათანადო რეფორმების ინიცირება**

საქართველოს პარლამენტის, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელი ორგანოს სტატუსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კომიტეტის როლის გაძლიერება კულტურის სფეროში რეფორმების ინიცირებისა და მათზე მუშაობის პროცესში.

**ამოცანა 1.2. კომიტეტისა და მისი წევრების მიერ კანონპროექტების ინიცირება**

პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომიტეტისა და მისი წევრების აქტიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა, არსებული საკანონმდებლო ხარვეზების დახვეწის, აგრეთვე შესაბამისი დარგის სიღრმისეული რეფორმირებისა და გამოწვევების დაძლევის მიზნით.

**ამოცანა 1.3. მთავრობის მიერ კულტურის სფეროში წარმოდგენილ კანონპროექტებზე მუშაობა**  
კომიტეტის საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტებზე მუშაობას, მათ დეტალურ განხილვას, რომელთა მიზანია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი რეფორმების მხარდაჭერა.

**სტრატეგიული მიზანი 2: კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის წარმართვა კანონის აღსრულების, ასევე დარგობრივი მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად, კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი**

**ამოცანა 2.1. ეროვნული კანონმდებლობის აღსრულების ეფექტიანი მონიტორინგი**

კომიტეტმა, მის წინაშე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების გასაზრდელად, აქტიურად და ეფექტიანად უნდა გამოიყენოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული სხვადასხვა საზედამხედველო მექანიზმები, რაც თავი მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის ინსტიტუტების ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესებას.

**ამოცანა 2.2. ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით განსაზღვრულ აქტივობათა შესრულების ზედამხედველობა**

კომიტეტი დარგობრივი მიმართულებით მონიტორინგს გაუწევს ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებათა პასუხისმგებელი უწყებების მიერ შესრულებას, გასცემს რეკომენდაციებს შესასრულებელი სამუშაოების ეფექტიანად წარმოების მიზნით.

**ამოცანა 2.3. ეფექტიანი ფინანსური (საბიუჯეტო) ზედამხედველობის განხორციელება**

კომიტეტი გააძლიერებს კულტურის და სპორტისა სამინისტროს, ასევე მისი მმართველობის სფეროში არსებული უწყებების საბიუჯეტო მონიტორინგს. ფინანსური ზედამხედველობის აქტივობები უნდა იყოს საზედამხედველო გეგმის ნაწილი, კომიტეტმა კი რეგულარულად მოითხოვოს სამინისტროსგან ინფორმაცია საბიუჯეტო ასპექტებზე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს შესაბამისი განხილვები და გასცეს საჭირო რეკომენდაციები, რაც საბოლოოდ მოემსახურება ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის გატარებას დარგობრივი მიმართულებით.

**ამოცანა 2.4. პრიორიტეტულ საკითხებზე საკომიტეტო მოკვლევებისა და მოსმენების ჩატარება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის შესაბამისად, კულტურის კომიტეტი**

გეგმავს თემატური მოკვლევების განხორციელებას შესაბამის სფეროებში არსებული მდგომარეობის შესწავლის, გამოწვევების იდენტიფიცირებისა და პასუხისმგებელი პირების მიმართ რეკომენდაციების გაცემის მიზნით. ამასთანავე, აღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებულ პირთა ჩართულობის გაზრდას. გარდა ამისა, კომიტეტი აქტიურ რეჟიმში გამართავს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობაში არსებული უწყებების მიერ შესრულებული საქმიანობის ანგარიშებისა და სამოქმედო გეგმების საკომიტეტო მოხმენებს.

**სტრატეგიული მიზანი 3: კომიტეტის საქმიანობასა და დარგობრივი მიმართულებით არსებული სიახლეების შესახებ, დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების გაზრდის მიზნით კომუნიკაციის გაუმჯობესება**

**ამოცანა 3.1. კომიტეტის ღიაობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) პრინციპების დაცვა**

კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ეფექტიანი და მარტივი წვდომისათვის, მისი ვებ-პლატფორმები რეგულარულად უნდა განახლდეს, ასევე დაინტერესებულ პირებს მიეცეთ საშუალება, ადვილად მოიძიონ მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ინფორმაცია. კომიტეტის მიერ, სოციალური არხების მეშვეობით აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება დაინტერესებულ პირთათვის როგორც კომიტეტის საქმიანობის შესახებ, ისე კულტურის სფეროში მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამავდროულად, კომიტეტმა უნდა გაითვალისწინოს OGP-ის ფარგლებში შემუშავებული ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გაწერილი ვალდებულებები.

**ამოცანა 3.2. არასამთავრობო, სამეცნიერო, აკადემიური და კერძო სექტორის, დარგობრივი ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებთან დროული კომუნიკაცია, საკომიტეტო საქმიანობაში მათი ჩართულობის ხელშეწყობა**

კომიტეტისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია თანამშრომლობა არასამთავრობო სექტორთან, სამეცნიერო და აკადემიური წრეების, ასევე დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ამის მისაღწევად, კომიტეტი გეგმავს რეგულარული შეხვედრების გამართვას ზემოაღნიშნულ პირებთან, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზიური გარემოს შექმნა, რასაც მოჰყვება კონკრეტული საკითხების შინაარსობრივი განხილვა და სამომავლო ნაბიჯების ერთობლივი დაგეგმვა, აგრეთვე გადაწყვეტილების პროცესში მათი ჩართვა.

**ამოცანა 3.3. საზღვარგარეთ მყოფ ქართველ სტუდენტებთან, მეცნიერებთან და ხელოვანებთან ეფექტიანი კომუნიკაცია და მათი ჩართვა კომიტეტის მიერ განხორციელებულ შესაბამის პროექტებში**  
მნიშვნელოვანია, საზღვარგარეთ მყოფი ქართველი სტუდენტების, მეცნიერებისა და ხელოვანების ჩართვა კომიტეტის სამუშაო პროცესში, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს მათი ექსპერტული მოსაზრებების გათვალისწინებას გადაწყვეტილებების მიღებისას, მეორე მხრივ, კი დარგში არსებული სიახლეების შესახებ დიასპორის ინფორმირებას.

**ამოცანა 3.4. საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორებთან აქტიური თანამშრომლობა**

2024 წლის განმავლობაში კომიტეტი გააძლიერებს კოორდინაციას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან. ამისთვის, ერთი მხრივ, კომიტეტმა რეგულარულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თავის საქმიანობაზე საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებს, მეორე მხრივ, კი ორგანიზება გაუწიოს მათთან საკოორდინაციო შეხვედრებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესაძლო გზების თაობაზე. კომიტეტმა, ასევე უნდა დაამყაროს კავშირები სხვადასხვა პარტნიორი ქვეყნების საელჩოსთან, სხვა ქვეყნების საპარლამენტო კომიტეტებთან ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

**ამოცანა 3.5. კომიტეტის საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა**

ღია მმართველობის პრინციპებიდან, ასევე პარლამენტის ანგარიშვალდებულებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდოს ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ. ამასთანავე ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება პარლამენტის როლისა და მის მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა სფეროებში მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

## **სტრატეგიული მიზანი 4: კომიტეტის შიდა ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება მისი მანდატით განსაზღვრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის**

### **ამოცანა 4.1. კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება**

კომიტეტის მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია კომიტეტის აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების და ამოცანების ოპტიმალური გადანაწილება (მათ შორის, არსებული სამუშაო აღწერილობების განახლება). ასევე, კომიტეტის წევრების მიერ ცალკეულ თემებზე პასუხისმგებლობის აღება და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული თემატური მომხსენებლის ინსტრუმენტის ეფექტიანი გამოყენება.

### **ამოცანა 4.2. კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება**

კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს მკაფიო ხედვა ფინანსური რესურსებისა თუ დონორი ორგანიზაციების მოძიებაზე, როგორც კომიტეტის წევრების, ისე თანამშრომელთა შესაძლებლობების გასაძლიერებლად. ასევე, მაქსიმალურად გაზარდოს ძალისხმევა აპარატის თანამშრომელთა საჭირო ტრენინგების უზრუნველსაყოფად, გამოცდილების გასაზიარებლად და სტაჟირებისათვის, აღნიშნული კომიტეტის საქმიანობის შედეგებს გააუმჯობესებს. ამასთან, დარგობრივ უწყებებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაციით, კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების მონაწილეობა შესაბამის შეხვედრებში, ტრენინგებსა და მსგავს ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას კულტურის სფეროში მიმდინარე საკითხებზე.

### **ამოცანა 4.3. გარე ექსპერტული დახმარების ეფექტიანი გამოყენება**

კომიტეტისთვის მნიშვნელოვანია გარე ექსპერტული დახმარება, რისთვისაც უნდა შეიქმნას შესაბამისი ექსპერტების მონაცემთა ბაზა, საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტში კი (ან დონორთა დახმარებით) უნდა გამოიძებნოს თანხები, რაც საშუალებას მისცემს კომიტეტს დაიქირაოს საჭირო ექსპერტები/დარგის სპეციალისტები იმ კონკრეტულ საკითხებზე სამუშაოდ, რომლებისთვისაც კომიტეტის აპარატის რესურსი არ არის საკმარისი. გარდა ამისა, საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის გაძლიერება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კომიტეტისთვის გარე ექსპერტული ცოდნის გამოყენების მხრივ.

# კომიტეტის 2024 წლის სამოქმედო გეგმა

## მიმართულება I: პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და კანონშემოქმედება

სტრატეგიული მიზანი 1: მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება და საკანონმდებლო საქმიანობის კოორდინირება

ამოცანა 1.1: სტრატეგიული მიმართულებებიდან გამომდინარე, კომიტეტის მიერ კულტურის სხვადასხვა სფეროში სიღრმისეული კვლევების წარმოება და კვლევის შედეგების მიხედვით მტკიცებულებებზე დაფუძნებული სათანადო რეფორმების ინიცირება

N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებ თან
		თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
1.1.1	<p>კულტურის კომიტეტის წევრები, დარგობრივ სამინისტროსთან, კომიტეტთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან და დაინტერესებულ პირებთან ერთად იმუშავენ შემდეგ საკითხებზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>კომიტეტის სამოქმედო გეგმის შემუშავება;</li> <li>საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა, ამ მიმართულებით დარგობრივ სამინისტროსთან ერთად განსახორციელებელი აქტივობების დაგეგმვა, მათ შორის მუნიციპალიტეტების დონეზე მათი უფლებამოსილების ფარგლებში კულტურის სფეროს დეცენტრალიზაციის სტიმულირება;</li> <li>კულტურის კომიტეტისათვის პრიორიტეტულია სახელოვნებო განათლება. შესაბამისად, სახელოვნებო განათლების საკანონმდებლო დონეზე დარეგულირების მიზნით, სფეროს სიღრმისეული კვლევის გაგრძელება,</li> </ul>	კომიტეტის ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	საქართველოს მთავრობა; საქართველოს კულტურისა და სპორტისა სამინისტრო; დარგობრივი სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.	2024 წელი	

	<p>სახელოვნებო განათლების პოლიტიკის შემუშავება/განხორციელების კოორდინაცია, არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერების ხელშეწყობა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრა/კოორდინაცია, საჭიროების შემთხვევაში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება;</li> <li>• დარგობრივი სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება, სხვადასხვა საჭიროებების იდენტიფიცირება, მათ შორის უფლებამოსილების ფარგლებში არსებული პროგრამების გაუმჯობესების ხელშეწყობა და აკადემიური პერსონალის დეფიციტის აღმოფხვრა;</li> <li>• კულტურის სხვადასხვა სფეროს, მუსიკის, თეატრის, კინოს, ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების და სხვა დარგების მეტად განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და პოპულარიზაცია, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება.</li> </ul>					
1.1.2	<p>კულტურის დიპლომატიის შესახებ კომიტეტის სახელმძღვანელო დოკუმენტი შექმნა - დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს კომიტეტის როლსა და ფუნქციებს კულტურული დიპლომატიის სფეროში, რაც თავის მხრივ უფრო გააქტიურებს სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიურ მისიებთან კულტურის კომიტეტის მუშაობას, კულტურის სფეროში ცალკეული პროექტების ეფექტიანად განხორციელებას, გააღრმავებს საკანონმდებლო მუშაობის პროცესში გამოცდილების გაზიარების პრაქტიკას.</p>	ელისო ბოლქვაძე	დავით დემეტრაძე ქეთევან ტომარაძე თეონა თაბაგარი	საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი; საგარეო საქმეთა სამინისტრო; სსიპ-ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სფეროს ექსპერტები.	საგაზაფხულო სესია	
1.1.3	<p>ქართული კულტურის საზღვარგარეთ პოპულარიზაციის მიზნით ქართულ დიასპორასთან მუშაობის გააქტიურება და ამ მიმართულები სამუშაო ჯგუფის შექმნა.</p>	ბექა ოდიშარია გივი ჭიჭინაძე გრიგოლ ვაშაძე	დავით დემეტრაძე ლალი ლორია	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო;	2024 წელი, საგაზაფხულო -	



	სამუშაო ჯგუფი იმუშავებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქართული კულტურის და სახელოვნებო დარგებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიმართულებით, აწარმოებს სტატისტიკური მონაცემებისა და სათანადო ანალიტიკური დოკუმენტების მომზადებას. სამუშაო ჯგუფი დარგობრივ სამინისტროს ერთად ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ კულტურის ცენტრების შექმნას. გარდა ამისა, კომიტეტი იმუშავებს საზღვარგარეთ არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო კავშირების განმტკიცების მიმართულებით, რისთვისაც მნიშვნელოვანია კულტურის სფეროში ქართული დიასპორის პოტენციალის გამოყენება		მიხეილ ჯანგველაძე ანა მეყანწიშვილი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; კულტურული დაწესებულებები (მუზეუმი, თეატრი).	საშემოდგომო სესია	
1.1.4	კომიტეტის მხრიდან, კულტურის სფეროს დაფინანსების (გარდა სახელმწიფო ბიუჯეტისა) ალტერნატიული საშუალებების მოძიების ხელშეწყობა, უფლებამოსილების ფარგლებში საქველმოქმედო ღონისძიებების აქტიური მხარდაჭერა სფეროს გაძლიერების მიზნით	ელისო ბოლქვაძე	ანა მეყანწიშვილი თამარ ელოშვილი თეონა თაბაგარი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო; კერძო სექტორი; კულტურის მიმართულებით მომუშავე დონორი ორგანიზაციები	2024 წლის განმავლობაში რეგულარულად	
<b>ამოცანა 1.2: კომიტეტისა და მისი წევრების მიერ კანონპროექტების ინიცირება</b>						
N	ღონისძიება	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
		თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
1.2.1	შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება კულტურის სფეროს მარეგულირებელ და მასთან დაკავშირებულ აქტებში	კომიტეტის ყველა წევრი	აპარატის ყველა თანამშრომელი	საქართველოს მთავრობა; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.	2024 წლის განმავლობაში, რეგულარულად	
1.2.2	კულტურისა და ხელოვნების ინდუსტრიების განვითარებისა და ტექნო-ინოვაციური სისტემების დანერგვის, წარმოების განვითარების, ქართული კინოინდუსტრიის პოტენციალის გაზრდის, დიჯიტალის, თანამედროვე ხელოვნების მიმართულებების, საკონცერტო საქმიანობის წამახალისებელი	ელისო ბოლქვაძე ისკო დასენი	ქეთევან ტომარაძე თეონა თაბაგარი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი;	დეკემბერი	

	ლონისძიებების შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება			საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.		
1.2.3	ვალერიან გუნიას სახელობის თეატრალურ ხელოვანთა ახალგაზრდული კავშირის - YTA Union/OISTAT საქართველოს ნაციონალურმა ცენტრმა გაიმარჯვა UNESCO-ს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელშიც წარმოდგენილი იყო პროექტი: „საქართველოს თავისუფალი არტისტის სტატუსი“.  პროექტი ითვალისწინებს თავისუფალი არტისტის სტატუსის განსაზღვრას, სარეკომენდაციო პაკეტის შექმნას, აღნიშნულ საკითხზე კანონპროექტის შემუშავებას და საკანონმდებლო წინადადების სახით, პარლამენტში ინიცირებას.	ელისო ბოლქვაძე	თამარ ელოშვილი ქეთევან ტომარაძე თეონა თაბაგარი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2024 წელი	

**ამოცანა 1.3: მთავრობისა და სამინისტროების მიერ კულტურის სფეროში წარმოდგენილ კანონპროექტებზე მუშაობა**

N	ლონისძიება	ინიციატივის შინაარსი	პასუხისმგებელი პირი		სხვა მონაწილე	ვადა	შენიშვნა/ შესაბამისობა საერთაშორისო ვალდებულებებთან
			თემატური მომხსენებელი	აპარატის თანამშრომელი			
1.3.1	საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა თანდართულ მასალებთან ერთად		კომიტეტის ყველა წევრი	დავით დემეტრაძე ანა მეყანწიშვილი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო	2024 წელი	
1.3.2	„თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში შემავალი თანმდევ კანონპროექტები	„თეატრების შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი თეატრების საქმიანობის წესის, ასევე მათ დაფუძნებასთან, ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სამართლებრივი, სოციალური და ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობების, თეატრალურ სფეროში მოღვაწე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობების, თეატრების	ელისო ბოლქვაძე ირაკლი მეზურნიშვილი ბაია კვიციანი	დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე	საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო	საგაზაფხულო სესია	

		<p>სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმების დაზუსტების, სრულყოფისა და დარგში არსებულ საჭიროებებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებით.</p> <p>წლების განმავლობაში დაგროვებულმა გამოცდილებამ გამოავლინა ცალკეული საკითხების საკანონმდებლო დონეზე დაზუსტების აუცილებლობა, აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონპროექტი მიზნად ისახავს შემდეგი ძირითადი საკითხების ახლებურად რეგულირებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- თეატრების კატეგორიებისა და ტიპების განსაზღვრა და ამასთან დაკავშირებული თანმდევი საკითხების რეგულირება;</li> <li>- თეატრების მართვის საკითხების დაზუსტება;</li> <li>- თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა და დაზუსტება;</li> <li>- თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისა და დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების წესის დაზუსტება, მათი უფლებამოსილების ვადის ახლებურად განსაზღვრა;</li> <li>- თეატრების სახელმწიფო დაფინანსების წესის განსაზღვრა;</li> <li>- თეატრების ანგარიშგებისა და მონიტორინგის საფუძვლების განსაზღვრა;</li> <li>- თეატრისა და თეატრის შემოქმედებითი პერსონალის შრომითი ურთიერთობების დარეგულირება;</li> <li>- კერძო თეატრების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება და საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა;</li> </ul>				
--	--	---	--	--	--	--

		<p>- განსაკუთრებული საჭიროების მქონე თეატრებისა და საბავშვო თეატრების მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა;</p> <p>- კერძო თეატრების ხელშეწყობის მექანიზმების განსაზღვრა, როგორცაა მათი დაფინანსებისა და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის ფორმატის განსაზღვრა, მათთვის სახელმწიფოს თეატრების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების გამარტივებული წესით გადაცემა და სხვ.</p> <p>მოქმედი კანონი ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პროფესიულ თეატრებზე. შესაბამისად, სათანადო რეგულაციის მიღმა რჩება თეატრების გარკვეული ნაწილი, რაც არათანაბარ სამართლებრივ და ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებს მათ. შესაბამისად, კანონპროექტით ფართოვდება მისი რეგულირების სფერო და იგი გავრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა თეატრზე.</p>					
1.3.3	„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი	<p>პროექტის თანახმად, აღნიშნული კანონის მოქმედება არ გავრცელდება „თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე და იმავე კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სახელმწიფო თეატრების მიერ მათ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების დროებით სასყიდლით და სახელმწიფო მოძრავი ქონების უსასყიდლოდ კერძო თეატრებისათვის სარგებლობაში გადაცემაზე.</p>	ელისო ბოლქვაძე ირაკლი მეზურნიშვილი ზაია კვიციანი	დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე	საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო	საგაზაფხუ ლო	

1.3.4	„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი	პროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ხორციელდება „თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სახელმწიფო თეატრების მიერ სადადგმო და შემოქმედებითი საქმიანობისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, აღნიშნულზე გავრცელდება ამავე კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის წესი.	ელისო ბოლქვაძე ირაკლი მეზურნიშვილი ზაია კვიციანი	დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე	საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო	საგაზაფხუ ლო სესია	
1.3.5	„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი	კანონპროექტის თანახმად, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩანაწერი „პროფესიული თეატრი“ ჩანაცვლდება, როგორც „თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედი თეატრი“.	ელისო ბოლქვაძე ირაკლი მეზურნიშვილი ზაია კვიციანი	დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე	საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო	საგაზაფხუ ლო სესია	
1.3.6	„სახელოვნებო განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტში შემავალი თანმდევ პროექტები	„სახელოვნებო განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიზანია სახელოვნებო განათლების, როგორც ფორმალური განათლების ერთ-ერთი ნაწილის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლების შექმნა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში სახელოვნებო განათლება, გარდა უმაღლესი პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საფეხურებისა, არაფორმალური განათლების ფორმით ხორციელდება	ელისო ბოლქვაძე ზაია კვიციანი	დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე ირაკლი ამირანაშვილი	საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო	საგაზაფხუ ლო სესია	

		<p>და არ არსებობს სახელოვნებო განათლების ქვედა დონეების ფორმალური განათლების სისტემაში ინტეგრირების სამართლებრივი საფუძვლები.</p> <p>სკოლისგარეშე სახელოვნებო განათლება წარმოადგენს განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც ხასიათდება სპეციფიკით და გამოირჩევა განსხვავებული რეგულირებების საჭიროებით. ამასთან, არ არსებობს ისეთი საკანონმდებლო აქტი, სადაც წარმოდგენილი კანონპროექტის შინაარსი ცვლილების შეტანის გზით სრულად აისახებოდა. შესაბამისად, მომზადდა ახალი საკანონმდებლო აქტის პროექტი, რომელიც კომპლექსურად მოაწესრიგებს სახელოვნებო განათლების სფეროს.</p> <p>კანონპროექტის მიღების შედეგად, ჩამოყალიბდება სახელოვნებო განათლების საწყისი საფეხურების ფორმალიზების სამართლებრივი საფუძვლები და განისაზღვრება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ფორმალური სახელოვნებო განათლების არსი და მისი მარეგულირებელი ჩარჩო;</li> <li>- ფორმალური სახელოვნებო განათლების მიღების წესი;</li> <li>- ფორმალური სახელოვნებო განათლების მიმწოდებელი სახელოვნებო საგანმანათლებლო</li> </ul>				
--	--	---	--	--	--	--

		<p>დაწესებულებების სტატუსი და ავტორიზაციის საკითხი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ფორმალური სახელოვნებო განათლების მიღების შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციები;</li> <li>- ფორმალური განათლების მიმწოდებელი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლების სტატუსი;</li> <li>- ფორმალური სახელოვნებო განათლების მიმწოდებელი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლების შრომის ანაზღაურების საკითხები;</li> <li>- სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უძრავი ქონების გადაცემის საკითხები და სხვ.</li> </ul>					
1.3.7	„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი	<p>კანონპროექტის თანახმად, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დაემატება ფორმალური სახელოვნებო განათლება, როგორც განათლების ქვესისტემის ახალი ნაწილი და ასევე, განიმარტება ფორმალური სახელოვნებო განათლება.</p> <p>გარდა ამისა, განისაზღვრება კანონისა და „სახელოვნებო განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების ფარგლები სახელოვნებო განათლებასთან მიმართებით.</p>	ელისო ბოლქვაძე ზაია კვიციანი	დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე ირაკლი ამირანაშვილი	საქართველოს კულტურის და სპორტის სამინისტრო	საგაზაფხუ ლო სესია	

1.3.8	<p>„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტი</p>	<p>კანონპროექტის თანახმად, შესაძლებელი იქნება შეიქმნას საჯარო სკოლა „სახელოვნებო განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. შესაბამისად, დაფუძნებული სკოლებისათვის განისაზღვრება განსხვავებული პირობები მოსწავლეთა მიღების, გარიცხვისა და სასკოლო სასწავლო გეგმის ორგანიზებასთან მიმართებით, რაც აისახება შესაბამის კანონქვემდებარე აქტებსა და სასკოლო საათობრივ ბადაში. ამასთანავე, კანონიდან ამოღებული იქნება რეგულაცია სკოლისგარეშე სახელოვნებო დაწესებულებების შესახებ, რამდენადაც აღნიშნულს სრულად „სახელოვნებო განათლების შესახებ“ კანონი მოაწესრიგებს.</p>	<p>ელისო ბოლქვაძე ბაია კვიციანი</p>	<p>დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე ირაკლი ამირანაშვილი</p>	<p>საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო</p>	<p>საგაზაფხუ ლო სესია</p>	
1.3.9	<p>„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტი</p>	<p>პროექტის თანახმად, დადგინდება არქიტექტურის მიმართულებაზე ჩარიცხვის მსურველ აბიტურიენტთათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე კონკურსის ე.წ. შემოქმედებითი ტურის ჩატარების წესი.</p>	<p>ელისო ბოლქვაძე ბაია კვიციანი</p>	<p>დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე ირაკლი ამირანაშვილი</p>	<p>საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო</p>	<p>საგაზაფხუ ლო სესია</p>	
1.3.10	<p>საქართველოს ორგანული კანონის პროექტი საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის</p>	<p>პროექტის მიხედვით განისაზღვრება, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, გარდა</p>	<p>ელისო ბოლქვაძე ბაია კვიციანი</p>	<p>დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე ირაკლი ამირანაშვილი</p>	<p>საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო</p>	<p>საგაზაფხუ ლო სესია</p>	



	კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“	ამ კოდექსისა, დარეგულირდება ასევე „სახელოვნებო განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ეს კანონი გავრცელდება აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებულ მასწავლებლებზე.					
1.3.11	საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	პროექტის მიხედვით, სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მათ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო ქონების შემოქმედებითი, სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობის მიზნებისათვის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემაზე გავრცელდება არა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, არამედ „სახელოვნებო განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის სპეციალური ნორმები.	ელისო ბოლქვაძე ბაია კვიციანი	დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე ირაკლი ამირანაშვილი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	საგაზაფხუ ლო სესია	
1.3.12	საქართველოს კანონის პროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	კანონპროექტის თანახმად იმ შემთხვევაში, თუკი ხორციელდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სადადგმო საქმიანობის, კინოგადაღებისა და ღონისძიებების მოწყობის მიზნით, შემოქმედებითი და სასწავლო-საგანმანათლებლო	ელისო ბოლქვაძე ბაია კვიციანი	დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე ირაკლი ამირანაშვილი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	საგაზაფხუ ლო სესია	

		საქმიანობისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, აღნიშნულზე გავრცელდება ამავე კანონით გათვალისწინებული გამარტივებული შესყიდვის წესი.					
1.3.13	საქართველოს კანონის პროექტი, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“	პროექტის მიხედვით „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან ამოღებული იქნება ჩანაწერი სახელოვნებო საბაზო განათლების სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.	ელისო ბოლქვაძე ბაია კვიციანი	დავით დემეტრაძე ლალი ლორია მიხეილ ჯანგველაძე ირაკლი ამირანაშვილი	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	საგაზაფხუ ლო სესია	
